სსიპ ბათუმის შოთა რუსთაველის
სახელმწიფო უნივერსიტეტი

17 დეკემბერი, 2025 წელი

ბ რ ძ ა ნ ე ბ ა № 01-02/227

ბსუ-ს ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის **„ისტორიის“ სადოქტორო** საგანმანათლებლო პროგრამის დოქტორანტ **გიორგი ბაციკაძის სადისერტაციო ნაშრომის საჯარო დაცვის** თარიღის დანიშვნისა და **დარგობრივი სადისერტაციო კომისიის შექმნის შესახებ**

„უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის 22-ე მუხლის, ბსუ-ს წესდების მე-13 მუხლის, ,,დოქტორანტურის დებულების დამტკიცების შესახებ“ ბსუ-ს აკადემიური საბჭოს 2024 წლის 27 დეკემბრის №06-01/129 დადგენილების, ბსუ-ს აკადემიური საბჭოს 2025 წლის 13 თებერვლის №06-01/16 დადგენილებით დამტკიცებული „ბსუ-ს ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის სადისერტაციო საბჭოს დებულების“, გიორგი ბაციკაძის დოქტორანტურაში ჩარიცხვის შესახებ
ბსუ-ს რექტორის 2022 წლის 19 ოქტომბრის №01-08/722 ბრძანების, „ბსუ-ს ზოგიერთი დოქტორანტისთვის სწავლის ვადის გაგრძელების შესახებ“ ბსუ-ს აკადემიური საბჭოს 2025 წლის 16 ივლისის №06-01/61 დადგენილების, ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის სადისერტაციო საბჭოს გადაწყვეტილების (ოქმი №22-20/14, 11.12.2025) და ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის სადისერტაციო საბჭოს თავმჯდომარის სამსახურებრივი ბარათის (MES 7 25 0001782359, 15/12/2025) საფუძველზე,

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ:

1. ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის „ისტორიის“ სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამის დოქტორანტ **გიორგი ბაციკაძის სადისერტაციო ნაშრომის** „ქართული საზოგადოებრივ-პოლიტიკური აზროვნების განვითარება“ (1905-1921 წწ.) **საჯარო დაცვა** დაინიშნოს 2025 წლის **26 დეკემბერს,** 16:00 საათზე, 37-ე აუდიტორიაში (ქ. ბათუმი, ნინოშვილის ქ. №35, კორპუსი №1, მე-2 სართული).

2. დამტკიცდეს ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის სადისერტაციო საბჭოს მიერ შექმნილი **„ისტორიის“** დარგობრივი **სადისერტაციო კომისია** შემდეგი შემადგენლობით:

2.1. ნუგზარ ზოსიძე – ბსუ-ს ასოც. პროფესორი **(კომისიის თავმჯდომარე);**
2.2. მაია კიკვაძე – ბსუ-ს პროფესორი **(კომისიის მდივანი);**
2.3. კახაბერ სურგულაძე- ბსუ-ს პროფესორი;
2.4. ნანა ხახუტაიშვილი- ბსუ-ს პროფესორი;
2.5. იზოლდა ბელთაძე – ბსუ-ს პროფესორი;
2.6. ციური ქათამაძე – ბსუ-ს ასოცირებული პროფესორი;
2.7. მერაბ მეგრელიშვილი – ნიკო ბერძენიშვილის ინსტიტუტის ისტორიისა და არქეოლოგიის განყოფილების უფროსი მეცნიერი თანამშრომელი;

2.8. უჩა ოქროპირიძე–ნიკო ბერძენიშვილის ინსტიტუტის ისტორიისა და არქეოლოგიის განყოფილების მთავარი მეცნიერი თანამშრომელი;

2.9. ნადიმ ვარშანიძე–ბათუმის სახელმწიფო საზღვაო აკადემიის ზოგადსაგანმანათლებლო აკადემიური დეპარტამენტის პროფესორი.

3. ბსუ-ს ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის დეკანის ოფისმა უზრუნველყოს წინამდებარე ბრძანების დოქტორანტისათვის გაგზავნა და მის პირად საქმეში განთავსება.

4. ბსუ-ს ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის სადისერტაციო საბჭოს მდივანმა უზრუნველყოს დოქტორანტისა და შესაბამისი სადისერტაციო კომისიის წევრების ინფორმირება, საჯარო დაცვის თარიღისა და განსახორციელებელი ღონისძიებების შესახებ.

5. ბრძანება განთავსდეს ბსუ-ს ვებგვერდზე.

6. ბრძანება დაეგზავნოს რექტორის მოადგილეს სასწავლო და სამეცნიერო მიმართულებით (გ. ქათამაძე), ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურს, სამეცნიერო კვლევების სამსახურს, ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტს, სადისერტაციო საბჭოს თავმჯდომარეს (პროფესორი მ. ფაღავა) და საბჭოს მდივანს (მ. კიკვაძე), საინფორმაციო ტექნოლოგიების სამსახურს.

7. ბრძანება ძალაშია ხელმოწერისთანავე.

8. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს კანონმდებლობით დადგენილ ვადაში და წესით ბათუმის საქალაქო სასამართლოში (ქ. ბათუმი, ს. ზუბალაშვილის ქ. 30).

ბსუ-ს რექტორი **ტიტე არაშიძე**